

დადგენილება

„ელექტროენერჯის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ადგენს:

მუხლი 1.

„ელექტროენერჯის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილებაში (ვებგვერდი, 05.08.2014, 300320000.16.009.016091) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი პუნქტით დამტკიცებული „ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციის, გადაცემის, განაწილების, გატარების და მოხმარების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ (დანართი №1):

ა) III თავის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის III¹ თავი:

„თავი III¹. მომარაგების საიმედოობაზე წახალისების/სანქციების მექანიზმი

მუხლი 20¹. მიუწოდებელ ენერჯიაზე წახალისების/სანქციების განაკვეთი

1. მიუწოდებელ ენერჯიაზე წახალისების/სანქციების განაკვეთი წყვეტების საშუალო ხანგრძლივობაზე ფინანსური მექანიზმის გაანგარიშების მიზნებისათვის გამოითვლება შემდეგი წესით:

$$P_e = \frac{VOLL * AvgCon}{60} \text{ ლარი/წუთი}$$

სადაც,

VOLL – მიუწოდებელი ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზის ან სასმელი წყლის ღირებულება (ლარი/კვტ.სთ. ან ლარი/მ³);

AvgCon - მომხმარებელთა საშუალო წლიური დატვირთვა (კვტ/მომხმარებელი ან მ³.სთ/მომხმარებელი);

60 - ერთ საათში წუთების რაოდენობა.

2. მიწოდებული ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზის ან სასმელი წყლის ღირებულება გამოითვლება შემდეგი წესით:

$$VOLL = \frac{GVA}{FC}$$

სადაც,

GVA – საქართველოში შექმნილი მთლიანი დამატებითი ღირებულება მიმდინარე ფასებში, რომელიც აღებული უნდა იქნეს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებიდან საბაზისო წლის პერიოდზე (მლნ. ლარი);

FC – საქართველოში ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზის ან სასმელი წყლის საბოლოო მოხმარება სატესტო წლის პერიოდზე, რომელიც აღებული უნდა იქნეს საქართველოს ელექტროენერჯეტიკული, ბუნებრივი გაზის მიწოდების და სასმელი წყლით მიწოდების ფაქტობრივი ბალანსიდან (მლნ კვტ.სთ ან მლნ. მ³).

3. მომხმარებელთა საშუალო წლიური დატვირთვა გამოითვლება შემდეგი წესით:

$$AvgCon = \frac{TotCon}{TNC} * \frac{1}{8760}$$

სადაც,

TotCon – შესაბამისი სექტორის საწარმოების საერთო წლიური მოხმარება (კვტ.სთ ან მ³);

TNC – შესაბამისი სექტორის საწარმოების ქსელზე მიერთებული მომხმარებლების საერთო რაოდენობა;

8760 – წელიწადში საათების რაოდენობა.“.

მუხლი 2.

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.